ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 23.01.2024 წ.

დადგენილება N14.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N32.

პრეამბულა

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების სრული დაცვით. უნივერსიტეტი მოწოდებულია სრულად დაიცვას სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

უნივერსიტეტი პატივს სცემს ყველა სტუდენტის ღირსებას, უფლებებსა და თავისუფლებას მისი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად და, თავის მხრივ, ყოველი სტუდენტისგან, შიდა საუნივერსიტეტო თანამეგობრობის ფარგლებში, მოითხოვს საუნივერსიტეტო საზოგადოების - აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და სხვა პერსონალის და სხვ სტუდენტების ღირსებისა და უფლებების პატივისცემას.

მუხლი 1. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ახორციელებს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას;

1.2. უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში.

1.3. სტუდენტს უფლება აქვს:

ა. მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ. მონაწილეობა მიიღოს კვლევაში;

გ. უნივერსიტეტის დებულებით, შინაგანაწესითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ე. საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს მობილობის პროცესში;

ვ. საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტის ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია ან სხვა სახის შეღავათი;

ზ. მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

თ. პერიოდულად მოახდინოს აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება;

ი. აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნას სტუდენტური თვითმმართველობის, სკოლების წარმომადგენლობით ორგანოებში და უნივერსიტეტის სენატში;

კ. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

1.4. სტუდენტს მისი ინტერესებისა და აკადემური მომზადების დონის შესაბამისად შესაძლებელია შეეთავაზოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შემუშავებაშიც პირადად მიიღებს მონაწილეობას;

1.5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რათა მათ, სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში;

1.6. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინარული ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა ან აკადემიის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები. ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ უნდა ინახებოდეს განცალკევებულად;

1.7. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, სამართლიანი პროცედურის გზით. უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსით დაწესებულია შეზღუდვა სტუდენტის ქცევაზე, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთან;

1.8. სტუდენტს, რომელიც შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დავალებას და მოიპოვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისი ოდენობის კრედიტებს, ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი კვალიფიკაცია და ეძლევა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი/სერტიფიკატი.

მუხლი 2. უნივერსიტეტი ვალდებულია

2.1. უზრუნველყოს სტუდენტი სწავლების სათანადო პირობებით, სასწავლო ბაზის სათანადო ტექნიკური აღჭურვით, უსაფრთხოების წესებისა და სანიტარული ნორმების დაცვის შესაბამისად;

2.2. შეუქმნას სტუდენტს სწავლის ჯანსაღ და კონკურენტულ გარემოში სათანადო განათლების მიღებისა და ობიექტური შეფასების პირობები;

2.3. მისცეს სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა და შესაბამისი უნარ - ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობა;

2.4. აღმოფხვრას მისი მიზეზით გამოწვეული ისეთი გარემოებანი, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალონ სასწავლო პროცესის მსვლელობას;

2.5. სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს სხვადასხვა სასწავლო მასალა, წიგნები და სახელმძღვანელოები, საერთაშორისო ელექტრონული ბაზები ან მიუთითოს მასალის წყაროზე, თუ ეს შესაძლებელია;

2.6. არ შეცვალოს სტუდენტის ჩარიცხვის მომენტისთვის დადგენილი სწავლის საფასური სწავლების სტანდარტული პერიოდის განმავლობაში, გარდა ეროვნული ვალუტის (ლარის) აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვანი გაუფასურებისა. ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვნად გაუფასურებად ჩაითვლება ლარის აშშ დოლართან მიმართებაში მინიმუმ 5% დევალვაცია. აღნიშნულ ვადაში შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი და იგი აითვლება სტუდენტის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისა და მისთვის სტუდენტის სტატუსის მინიჭების მომენტიდან;

2.7. ეროვნული ვალუტის (ლარის) აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვანი გაუფასურებით გამოწვეული სწავლის ღირებულების ცვლილება განახორციელოს სწავლების მომდევნო სემესტრიდან;

2.8. სტუდენტის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

მუხლი 3. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა საგამოცდო პროცესში

3.1. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ეფექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე და დროული საგამოცდო პროცესის წარმართვა;

3.2. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს საგამოცდო პროცესში მონაწილე პირებისათვის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაციის დროული და სრულყოფილი მიწოდება;

3.3. უნივერსიტეტი ვალდებულია დაიცვას საგამოცდო საკითხების კონფიდენციალობა;

3.4. უნივერსიტეტი ვალდებულია მოახდინოს გამოცდის შედეგების (სტუდენტთა შეფასებების) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში დროული ასახვა.

მუხლი 4. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა/გასაჩივრების მექანიზმები

4.1. სტუდენტი უფლებამოსილია, საგამოცდო შედეგების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მიმართოს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრს წერილობით, შედეგების გასაჩივრების მიზნით;

4.2. ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს დეკანს სააპელაციო კომისიის შექმნის საჭიროების შესახებ;

4.3. ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, გააცნოს სტუდენტის ნაშრომი სააპელაციო კომისიას;

4.4. სააპელაციო კომისია ვალდებულია, 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში განიხილოს სტუდენტის ნაშრომი. მიღებული შედეგის ცვლილების ან იმავე შეფასების დატოვების შემთხვევაში, სააპელაციო კომისია წარუდგენს საგამოცდო ცენტრს დასაბუთებულ დასკვნას;

4.5. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სააპელაციო პროცესების გამჭვირვალედ ჩატარება.

მუხლი 5. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა/კონსულტირება

5.1. სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს სათანადო კონსულტაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

5.2. უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას სასწავლო წლის დაწყებისთანავე სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია არსებული კონსულტაციების შესახებ;

5.3. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად საკონსულტაციო მომსახურების გაწევას;

5.4. სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტების/კურსდამთავრებულების ინფორმირებას დასაქმების ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე. მათთვის კონსულტაციების გაწევას შრომის ბაზრის მიმდინარე თუ სამომავლო მოთხოვნებთან დაკავშირებით;

5.5. უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ინდივიდუალურ კონსულტაციებს მათი კონკრეტული საჭირობებიდან გამომდინარე;

5.6. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი/თანაშემწე უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საორიენტაციო შეხვედრებისა და კონსულტაციების ჩატარებას ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

მუხლი 6. სტუდენტების ჩართულობა უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში

6.1. უნივერსიტეტის სტუდენტები წარმოდგენილნი არიან სენატში - 2 (ორი) სტუდენტი;

6.2. უნივერსიტეტის სტუდენტები წარმოდგენილნი არიან სკოლის საბჭოში 2 (ორი) სტუდენტი;

6.3. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში სტუდენტთა ჩართულობა უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

მუხლი 7. სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები

7.1. აკადემიური მხარდაჭერა

- სემესტრის დასაწყისში სტუდენტთა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები;
- კონსულტაციები სასწავლო კურსებთან დაკავშირებით;
- სასწავლო კურსების შერჩევა სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით;
- კონსულტაციები ნაშრომის სტრუქტურაზე;
- კონსულტაციები პლაგიატზე და კეთილსინდისიერების პრინციპეპზე;
- მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა;
- სსსმ და შშმპ სტუდენტების (ესეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო პროცესში ადაპტირებისათვის ხელშეწყობა.

7.2. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერა:

- სოციალურად დაუცველი პირები;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები;
- მრავალშვილიანი ოჯახები;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები;
- მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირები;
- ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილები/ოჯახის წევრები.

7.3. ფინანსური მხარდაჭერა:

- შიდა გრანტი;
- სტიპენდია;
- სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკი;
- ინდივიდუალური გადახდის გრაფიკი.

მუხლი 8. სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერა

8.1. სსსმ და შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში;

8.2. სსსმ და შშმ პირებისათვის ადაპტირებული სანიტარული კვანძები;

8.3. ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი;

8.4. სასწავლო მასალებზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა;

8.5. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წინასწარი ინფორმირება სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ;

8.6. სსსმ და შშმ პირების თანაბარი ჩართულობა კურიკულუმის გარეშე აქტივობებში;

8.7. სსსმ და შშმ პირებისათვის თანაბარი პირობების შექმნა.

მუხლი 9. ფინანსური მხარდაჭერის მოპოვების მექანიზმები

9.1. უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მოიპოვონ ფინანსური მხარდაჭერა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის - ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურიდან;

9.2. ფინანსური მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, უნივერსიტეტის სტუდენტები უფლებამოსილნი არიან წერილობით მიმართონ სტუდენტურ თვითმმართველობას;

9.3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია შუამდგომლობით მიმართოს უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურს ფინანსურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;

9.4. წერილობითი შუამდგომლობა გარკვევით უნდა ასახავდეს სტუდენტური ინიციატივის ტიპსა და მომსახურეობისათვის გასაწევ ფინანსურ რესურსს;

9.5. ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური განიხილავს წერილობით შუამდგომლობას და იღებს შესაძლო გადაწყვეტილებას:

ა. დააკმაყოფილებს შუამდგომლობას;

ბ. ნაწილობრივ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას;

გ. უარს იტყვის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

მუხლი 10. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი და შეფასების სისტემა

10.1. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შეფასება უმნიშვნელოვანესი პროცესია, რომლითაც შესაძლებელი ხდება დარღვევებზე რეაგირება;

10.2. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების ეფექტურობის შეფასება ხდება სპეციალური ანკეტა კითხვარებით, რომელსაც შეიმუშავებს ხარისხის მართვის სამსახური;

10.3. ხარისხის მართვის სამსახური შეისწავლის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების ეფექტიანობას, მისი გამოყენების სტატისტიკას, გამოკვეთილი ტენდენციების საფუძველზე გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას.

მუხლი 11. უცხოელ სტუდენტეთა მხარდაჭერის მექანიზმები

11.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტების არა მხოლოდ აკადემიურ განათლებას, არამედ მათთვის მულტიკულტურული გარემოს შექმნას, რაც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას;

11.2. უნივერსიტეტი უცხოელი სტუდენტების განათლებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ახორციელებს ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს მათ სოციალურ, კულტურულ, ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ მხარდაჭერას;

11.3. უნივერსიტეტი პასუხემგებელია უცხოელი სტუდენტების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობაზე, მათთვის თანაბარი პირობების შექმნასა და უფლებების დაცვაზე;

11.4. უნივერსიტეტს ჰყავს უცხოელ სტუდენტთა კოორდინატორი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ამავე დებულებით განსაზღვრული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

მუხლი 12. უცხოელ სტუდენტეთა მხარდაჭერის სერვისები

12.1. უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ მხარდამჭერ სერვისებს:

ა. სოციალურ - კულტურული ინტეგრაცია;

სტუდენტთა სოციალიზაცია.

ბ. მეგობრული პროგრამები (Buddy Programs);

პროგრამები, სადაც უცხოელ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ ადგილობრივ სტუდენტებს, რაც მათ ეხმარებათ უნივერსიტეტისა და ქალაქის ადაპტირებაში. პროგრამების უპირატესობებია: ახალი გარემოს გაცნობა; ახალი შესაძლებლობები; ახალი მეგობრების შეძენა; ენის პრაქტიკისა და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება.

გ. კულტურული ღონისძიებები და დღესასწაულები;

- ტრადიციული და ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა - უცხოელ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაეცნონ მასპინძელი ქვეყნის და სხვა ქვეყნების კულტურას;
- საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალები - სხვადასხვა ქვეყნების კულტურის, სამზარეულოს და ტრადიციების გაზიარება;
- ექსკურსიები და ტურები - უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს ქალაქისა და ქვეყნის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების მონახულებას.

დ. მულტიკულტურული სტუდენტური კლუბები

- უცხოელი სტუდენტების გაერთიანებები, სადაც მათ შეუძლიათ ერთმანეთთან კომუნიკაცია, საერთო ინტერესების გაზიარება და თავიანთი კულტურის პოპულარიზაცია;
- კლუბები ხელს უწყობს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობას.

ე. ენის გაცვლითი პროგრამები (Language Exchange Programs)

- სტუდენტები ეხმარებიან ერთმანეთს ენის შესწავლაში - უცხოელი სტუდენტები ასწავლიან თავიანთ მშობლიურ ენას, ხოლო ადგილობრივი სტუდენტები - მასპინძელი ქვეყნის ენას;
- პროგრამები ზრდის ენის პრაქტიკის შესაძლებლობებს და აუმჯობესებს კომუნიკაციის უნარებს.

მუხლი 13. უცხოელი სტუდენტების ფსიქოლოგიურ - სამართლებრივი მხარდაჭერა

13.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უფასო ფსიქოლოგიურ სერვისებს, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება სტრესთან, დეპრესიასთან, კულტურულ შოკთან და მარტოობასთან გამკლავებაში;

13.2. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი ფსიქოლოგიური სერვისებით:

- ინდივიდუალური კონსულტაციებით - ფსიქოლოგთან პირადი შეხვედრები;
- ჯგუფური თერაპიით - საერთო პრობლემების განხილვა და გამოცდილების გაზიარება;

- ვებინარებით და სემინარებით - როგორ გაუმკლავდნენ აკადემიურ და სოციალურ სტრესს.

13.3. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი სამართლებრივი სერვისებით:

- იურიდიული კონსულტაცია;
- ვიზისა და ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებული საკითხები;
- სამუშაო უფლებებისა და სამართლებრივი რეგულაციების საკითხები;
- კონტრაქტების შესახებ ინფორმაცია;
- დისკრიმინაციისა და უფლებების დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი კონსულტაცია.

მუხლი 14. უცხოელი სტუდენტების უსაფრთოების უზრუნველყოფა

14.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უცხოელ სტუდენტთა უსაფრთხოებას საგანმანათლებლო პროცესში;

14.2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უცხოელ სტუდენტთა უსაფრთხოებას უნივერსიტეტის უსაფრთხოებას.

მუხლი 15. დასკვნითი დებულებანი

15.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

15.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

15.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

15.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.